დანართი №1

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების
შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია
წევრები:
მაია ომიაძე; გიული გურგენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406250140

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ■ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" შემოწმების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 მაისის MES 6 24 0000548639 (ბრძანების ცვლილება MES 5 24 0000555351, 21.05.2024) ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), მაია ომიაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), გიული გურგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი), (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **30 და 31 მაისს** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ.N30ა, შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯში.

ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებას.

2024 წლის 24 მაისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2024 წლის 30 და 31 მაისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (3 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 3 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2 პირი). ვინაიდან კოლეჯში 2023 წლის შემოდგომაზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა, დაწესებულებას კურსდამთავრებული არ ჰყავდა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის № 00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვე.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ბუღალტრული აღრიცხვა	40	24	3	2

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**[redacted] შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**[redacted] შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **■ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ბუღალტრული აღრიცხვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

მეხუთე სტანდარტი შეფასებულია უარყოფითად, ვინაიდან ინდიკატორი 5.2.2.3 არ არის დაკმაყოფილებული

კერძოდ: კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ 3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფაქტი სისტემაში ასახული არ იყო (იხ. დანართი N2). შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არასრულად ხდება ინფორმაციის ასახვა. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა ფოტო მასალა ხარვეზის გამოსწორების დასტურად. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 9 მაისის N00004427 ბრძანების შინაარსის შესაბამისი მონაცემები (პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის ცვლილება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სისტემაში ასახა 2024 წლის 26 ივნისს, რითაც დაარღვია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 17/02/2021 წლის N11/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებამ სისტემაში ინფორმაცია ასახა კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება. ამასთან, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული აქტივობები არ არის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ინდიკატორის შეფასების სტატუსი მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეხუთე სტანდარტი ფასდება შეუსაბამოდ, ვინაიდან უარყოფითად ფასდება 5.2.2.3 ინდიკატორი.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

4.1.2.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის პოლიტიკისა და პროცედურების გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავებით შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და დასაქმება, განახორციელოს კოლეჯის პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ერთი კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.1.1. დაწესებულებამ განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ექვსი თვე.

4.2.1.2. დაწესებულებამ განახორციელოს პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ექვსი თვე.

5.1.2.1. დაწესებულების უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, რაც დადასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების დაკვნით ან შესაბამისი მიწერილობით, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ექვსი თვე.

5.2.1.2. დაწესებულებამ შეიმუშაოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვაის მექანიზმები და გამოიყენოს პრაქტიკაში. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ერთი კვირა.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვროს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები.*

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედეგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური რესურსი ან/და დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში.*

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა *რეკომენდებულია დაწესებულებამ წლის განმავლობაში ორჯერ ან კვარტალურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ხოლო არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შეფასება, რაც დაეხმარება კოლეჯს დროულად დააიდენტიფიციროს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შეუსრულებლობლის მიზეზები და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.*

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, *თუმცა რეკომენდებულია:*
1. დაზუსტდეს ფინანსური დავალიანების არსებობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოება იმ პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც არ ფინანსდებიან „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად;
2. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით არ განისაზღვროს შეცდომაში შემყვანი ის პროცედურები, რომელთა განხორციელების უფლებაც არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს მექანიზმები და პროცედურები მობილობით გადმოსული, სტატუსაღდგენილი და ყველა სხვა გარემოების არსებობისას, რა დროსაც პროფესიული სტუდენტი ვერ აგრძელებს სტანდარტული სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას, ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.*

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, *თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებისა და პროცედურების ფორმალიზება, გაიწეროს ინიციატივების წარდგენის წესი, მათი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, მხარდაჭერისა და ანგარიშგების ეტაპები და სხვ.*

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, *თუმცა რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების იდენტიფიცირებისა და განვითარებისათვის, ასევე რეკომენდებულია კოლეჯის სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს რელევანტურ პერიოდში, მაგალითად წელიწადში ორჯერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დრო (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 2 კვირით ადრე) არ იძლევა გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოფხვრის შესაძლებლობას.*

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრუქტურასა და დებულებაში დაზუსტდეს პოზიციების დასახელებები, ასევე შემუშავდეს დაწესებულების საშტატო განრიგი და განისაზღვროს საშტატო და შტატგარეშე ერთეულები ასეთის საჭიროების შემთხვევაში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, *თუმცა რეკომენდებულია მკაფიოდ გაიმიჯნოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი არ ჩაერიოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, აღნიშნული ფუნქცია სრულად განახორციელოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მართვა.*

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას დაწესებულებამ დაიცვას საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული არსებითი პირობები და გაწეროს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა.*

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, *თუმცა რეკომენდებულია:*

1. *დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა);*
2. *ყველა პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“;*
3. *თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში დასაქმების მსურველმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინონ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის პოლიტიკით დეკლარირებული ღირებულებებით და გააუმჯობესოს თანამშრომელთა ჩართულობა სხვადასხვა აქტივობასთან დაკავშირებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, *თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დაიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.*

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს კოლეჯში ახალი პერსონალის ინტეგრაციის მექანიზმები, განსაზღვროს ახალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის ადაპტაციის ეტაპები, შეიმუშაოს გეგმები, ანგიშები, პროცესის შეფასების ფორმები და სხვ.*

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.*

ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა *რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკურის რესურსის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის პერიოდული შეფასება, შედეგების ანალიზი, გაუმჯობესების გეგმის შედგენა და შესაბამისი აქტივობების ოპერატიული განხორციელება.*

ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, *თუმცა რეკომენდებულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს რისკების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ასევე შეივსოს და გამოყენებულ იქნას „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გამოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი“, „პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი,“, „შრომის უსაფრთხოების სწავლების (ტრენინგის) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი“ და სხვა.

ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს მასალა-ნედლეულის ხარჯვის კონტროლი, აღრიცხვა და დოკუმენტირება.*

ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა *რეკომენდებულია გამოკითხვის მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.*

ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს IT რესურსების მართვისა და რისკების შეფასების მექანიზმები“.*

ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, *თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებით. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან თანამშრომლობა.*

ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, *თუმცა რეკომენდებულია გამოკითხვის მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებებაში არსებული საქმისწარმეობა განხორციელდეს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკის მიხედვით და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან ("eflow").*

ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, *თუმცა დაწესებულების ერთიანი დოკუმენტბრუნვის სანდოობის უზრუნველყოფისთვის სრულად ასახავდეს ყველა კატეგორიის დოკუმენტებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემაში - "eflow".*

ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად ასახოს ინფორმაცია ვებგვერდზე, მათ შორის შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილება, პერსონალის შემადგენლობის განახლების თაობაზე ინფორმაცია და სხვ.*

ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, *თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობლიობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.*

8. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულება დაარეგულიროს და საქმიანობაში გამოიყენოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის პარალელურად საკუთარი შესაძლებელობების შეფასება, კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალი, ეკონომიკური ფაქტორები, კონკურენცია და სხვა გარემოებები, რომელთა შესწავლის გზით განახორციელებს ამათუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ თავად შეაფასოს საკუთარი რესურსი და დაასაბუთოს ამათუიმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა.*

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.*

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, *თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას მეტი სიზუსტით განხორციელდეს ხარჯებისა და შემოსავლების კალულაცია, რელევანტურად განისაზღვროს რენტაბელობის ზღვარი, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.*

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, *თუმცა ვერიფიკაციის მექანიზმები საჭიროებს დახვეწას, კერძოდ რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას განახორციელოს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შევლენ დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ამასთან გათვალისწინებული იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის № 00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული მაქსიმალური ვადა არის 6 თვე.

ექსპერტთა ჯგუფი 5 ინდიკატორის (4.1.2.2; 4.2.1.1; 4.2.1.2; 5.1.2.1; 5.2.1.2) შეფასებისას ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, ხოლო 5.2.2.3 ინდიკატორის შეფასებისას ვერ გაითვალისწინა დაწესებულების პოზიცია, კერძოდ: კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ 3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფაქტი სისტემაში ასახული არ იყო (იხ. დანართი N2). შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არასრულად ხდება ინფორმაციის ასახვა. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა ფოტო მასალა ხარვეზის გამოსწორების დასტურად. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 9 მაისის N00004427 ბრძანების შინაარსის შესაბამისი მონაცემები (პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის ცვლილება) სისტემაში ასახა 2024 წლის 26 ივნისს, რითაც დაარღვია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 17/02/2021 წლის N11/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებამ სისტემაში ინფორმაცია ასახა კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება. ამასთან, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული აქტივობები არ არის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ინდიკატორის შეფასების სტატუსი მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეხუთე სტანდარტი ფასდება შეუსაბამოდ, ვინაიდან უარყოფითად ფასდება 5.2.2.3 ინდიკატორი.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და ერთ კვირაში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ვრცლად იხილეთ 4.1.2.2 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 4.2.1.1 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალის საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის ცალკეული აქტივობის შესრულებისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია, მთავარია დაწესებულებამ გააგრძლეოს საქმიანობა მოცემული მიდგომების გათვალისწინებით. ვრცლად იხილეთ 4.2.1.2 ინდიკატორის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.1.2.1. მეტწილადაა დაკმაყოფილებული. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დადებითი დაკვნის ან მიწერილობის არსებობისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 5.1.2.1. ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის დოკუმენტის შემუშავებისა და დაწესებულების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით IT რისკების შესაბისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და ერთ კვირაში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა და გამოიყენოს შემდგომ საქმიანობაში.ვრცლად იხილეთ 5.2.1.2. ინდიკატორის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მისია ხაზს უსვამს საკუთარ მრავალპროფილურობას, აქცენტს აკეთებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, მათი დასაქმების და თვითდასაქმების ხელშეწყობაზე, აღნიშნავს ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების მნიშვნელობას. კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. დაწესებულების მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის არის მრავალპროფილური, ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი დასაქმების და თვითდასაქმების უზრუნველყოფაზე, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების მიზნებისათვის ხელშეწმყობი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების აღზრდას, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობისა და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს, ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრს მოთხოვნების დაკმაყოფილებაში წვლილის შეტანაზე.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, კოლეჯი მისიით განსაზღვრული პროფილის შესაბამისად, ახორციელებს საექთნო განათლების და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ცალკეული აქტივობების ორგანიზებისა და პარტნიორი დაწესებულებების ღონისძიებებში პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობით ხელს უწყობს საკუთარი პერსონალისა და სტუდენტების განვითარებას, თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების ორგანიზაციებთან და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან, რა დროსაც ურთიერთობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან, რითაც ეხმიანება საკუთარ ღირებულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და დართული აქვს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგსა და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01/23 ბრძანებით დამტკიცებულ შვიდწლიან სტრაგიულ გეგმას.

კოლეჯის საზოგადოების მიერ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მტკიცებულებად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების თანხმობები კოლეჯის სტრატეგიული დოკუმენტების გაცნობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაზიარების თაობაზე. კოლეჯში მიმდინარე კმაყოფილების კვლევის კითხვარები მოიცავს კითხვებს დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული მიმართულებების თაობაზე პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მოსაზრებების შესახებ. კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული სტუდენტების მიერ დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული მიმართულებების დადებითად შეფასებისა და გაზიარების მაჩვენებელი მაღალია.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“ მე-3 მუხლი არეგულირებს კოლეჯის სტრატეგიული დოკუმენტების გაზიარების მექანიზმებს, რის მიხედვითაც კოლეჯში დოკუმენტაციის გაზიარებისთვის სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის შესახებ ინფორმაცია განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე ანონსის სახით.

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები საჯაროა და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში კოლეჯის საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;
2. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, 2023 წელი, 2022 წელი, 2021 წელი, 2020 წელი;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01/23 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრაგიული გეგმა;
5. კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მაჩვენებლების შესწავლის მიზნით, კოლეჯის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
6. კოლეჯის პერსონალთან, პარნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
7. კოლეჯის ვებგვერდი - https://avicenna.edu.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

- პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
- სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
- დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01/23 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრაგიული გეგმა შემუშავებულია 2024 წლის 09 მაისამდე მოქმედი რეგულაციის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მოქმედია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“. დოკუმენტში გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების საკითხები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის აღწერა.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01/23 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრაგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიან ადმინისტრაციის თანამშრომლები (იურისტი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საქმისწარმოების სამსახურის მენეჯერი), პროფესიული განათლების მასწავლებლები (ოთხი პირი). კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალის სხდომის 2020 წლის 06 აგვისტოს სხდომის N06/02 ოქმი, რომლის დღის წესრიგში გაწერილია კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვა, კოლეჯის SWOT ანალიზი. ასევე წარმოდგენილია პერსონალის სხდომის 2020 წლის 31 აგვისტოს სხდომის N06/03 ოქმი, რომლის დღის წესრიგში გაწერილია კოლეჯის შვიდლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვის შედეგები.

კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური ხასიაათისაა, გათვლილია 7 წლიან პერიოდზე და ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს, განხორციელების ვადებს (წლების ჭრილში) და შესრულების ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება.

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, კოლეჯი ადგენს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას. კოლეჯის 2024 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 26 დეკემბრის №00016618 ბრძანებით, ხოლო სამოქმედო გეგმის პროექტი განხილულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 05 დეკემბრის №00015484 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. კოლეჯის სტრატეგიული დოკუმენტების (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა) შემუშავების მიზნით, კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიან კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, თუმცა ვინაიდან დაწესებულებას უკვე ჰყავს პროფესიული სტუდენტები და დაწყებული აქვს თანამშრომლობა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან/პარტნიორებთან, *რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვროს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები.*

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01/23 ბრძანებით.

კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასაწყისში სამუშაო ჯგუფი განიხილავს ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე არსებულ სტრატეგიებს. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას მხედველობაში იქნება მიღებული შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები, საქართველოს საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და სხვ. აღნიშნული დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში კოლეჯი აფასებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებსა და შესაძლებლობებს, აანალიზებს დაწესებულების საქმიანობის რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებს და შედეგებს იყენებს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას. რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საოქმო გადაწყვეტილებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვროს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის №01/23 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებს, ამოცანებს, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და საჭირო რესურსებს. კოლეჯს განსაზღვრული აქვს 8 სტრატეგიული მიზანი, მათ შორის: სტრატეგიული მიზანი N1: შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული კოოპერაციული პროგრამების (მ.შ. სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა; სტრატეგიული მიზანი N2: ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; N3: სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა; N4: პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერი ღონისძიებები და სერვისი და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; N5: კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა; N6: დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება; N7: ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; N8: კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის №00016618 ბრძანებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანა, აქტივობა, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების პერიოდი თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები, რესურსები. თუმცა, კოლეჯის მიერ დამტკიცებულ წლიურ გეგმაში არ არის განსაზღვრული ფინანსური რესურსის ოდენობა ან/და დაფინანსების წყარო. მაგალითად, იხ. სამოქმედო გეგმის აქტივობა - წიგნადი ფონდის განახლება, საჭირო რესურსებში მითითებულია: მატერიალური წიგნადი ფონდი, ელექტრონული წიგნადი ფონდი, პროფესიულ სტუდენტენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შესავსები კითხვარები; აქტივობა - ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის მიზნით დაწესებულების თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, ინოვაციური მიდგომების განვითარება და სხვ., რომლის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებია: კომპიუტერები, ინოვაციური მიდგომები, და სხვ. აღნიშნული მიზნებისათვის რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური რესურსი ან/და დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში, რაც დაეხმარება კოლეჯს განსაზღვროს აქტივობათა მასშტაბები და ოპტიმალურად გამოიყენოს საკუთარი ფინანსური რესურსები დაწესებულების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სასწავლო წლის ფარგლებში 2024 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ნოემბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური რესურსი ან/და დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2024 წლის წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;
2. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის №01/23 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის №00016618 ბრძანებით დამტკიცებული 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
5. კოლეჯის პერსონალის 2020 წლის 06 აგვისტოს სხდომის N06/02 ოქმი;
6. კოლეჯის პერსონალის 2020 წლის 31 აგვისტოს სხდომის N06/03 ოქმი;
7. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 05 დეკემბრის №00015484 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
8. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
9. კოლეჯის ვებგვერდი - https://avicenna.edu.ge

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

- პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
- პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
- სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია - კოლეჯის დირექტორი სასწავლო დარგში, ხოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის არყოფნის შემთხვევაში მისი უფლება-მოვალეობები დელეგირებულ იქნება კოლეჯის სხვა თანამშრომელზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებულნი არიან კოლეჯის დირექტორთან სასწავლო დარგში. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ კოლეჯის დირექტორთან სასწავლო დარგში წელიწადში ერთხელ ანგარიშების წარდგენას წერილობითი ფორმით eflow- ს ან კოლეჯის ელ.ფოსტის საშუალებით. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი წარდგენილ ანგარიშში მიუთითებს კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს (შესრულდა, არ/ვერ შესრულდა, შესრულდა ნაწილობრივ) და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის შესრულების, არ/ვერ შესრულების და ნაწილობრივ შესრულების შესახებ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი კი თავის მხრივ ამზადებს მონიტორინგის ჯამურ ანგარიშს, განსახილველად წარუდგენს თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირსა და კოლეჯის დირექტორს და იწვევს სხდომას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვის მიზნით. მონიტორინგის ჯამური ანგარიშის განხილვის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ან დისციპლინური დევნის ღონისძიებების გამოყენებას. მონიტორინგის ჯამური ანგარიშის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ახდენს გეგმის კორექტირებას. მონიტორინგის შედეგების ანალიზი გადაეცემა სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირს და ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგის შედეგების ანალიზის გამოყენებით ქმნის მომავალ სამოქმედო გეგმას.

საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილია 2023 წლის სამოქმედო გეგმა და მისი ანგარიში, სადაც აღწერილია წლის განმავლობაში შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ წლის განმავლობაში ორჯერ ან კვარტალურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ხოლო არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შეფასება, რაც დაეხმარება კოლეჯს დროულად დააიდენტიფიციროს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შეუსრულებლობლის მიზეზები და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა *რეკომენდებულია დაწესებულებამ წლის განმავლობაში ორჯერ ან კვარტალურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ხოლო არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შეფასება, რაც დაეხმარება კოლეჯს დროულად დაიდენტიფიციროს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შეუსრულებლობლის მიზეზები და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.*

2. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების (შედეგების) ანალიზი და ანგარიში, სადაც აღნიშნული და აღწერილია თითოეული აქტივობის შესრულების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ის აქტივობები, რომელთა შესრულება კოლეჯმა ვერ შეძლო საანგარიშო წელს, ასახულია მომდევნო 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრატეგიული გეგმა, 2024 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე წინა 2023 წლის სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის №01/23 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის №00016618 ბრძანებით დამტკიცებული 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
3. დაწესებულების 2023 წლის სამოქმედო გეგმა და ანგარიში;
4. კოლეჯის ვებგვერდი - https://avicenna.edu.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მექანიზმები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები), ამავე წესის მე-13 მუხლი არეგულირებს უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას. ზემოაღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წესი შესაბამისობაშია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი გარემოებები: კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება მიღების გამოცხადების შესახებ, პროფესიული სტუდენტები ჩარიცხული არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეტანილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ გათვალისწინებით. ამასთან, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესში“ გაწერილია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს, რის თანახმადაც პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს: მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა, მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ, კოლეჯის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის” თანახმად, ისარგებლოს შეფასების გასაჩივრების მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლი არეგულირებს მხოლოდ სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, რაც გულისხმობს მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირებას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისებრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე).

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი წესის“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რის შემდეგაც პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ პუნქტი (ფინანსური დავალიანება) წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია დაზუსტდეს ფინანსური დავალიანების არსებობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოება იმ პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც არ ფინანსდებიან „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი წესის“ მე-9 მუხლი ადგენს პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების წესსა და პროცედურას. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულებას ჰქონდა თუ არა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებული. ვინაიდან კოლეჯს ზემოაღნიშნული უფლება არ აქვს მოპოვებული, რეკომენდებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით არ განისაზღვროს შეცდომაში შემყვანი ის პროცედურები, რომელთა განხორციელების უფლებაც არ გააჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, ***თუმცა რეკომენდებულია:***

1. დაზუსტდეს ფინანსური დავალიანების არსებობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოება იმ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც არ ფინანსდებიან „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად;
2. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით არ განისაზღვროს შეცდომაში შემყვანი ის პროცედურები, რომელთა განხორციელების უფლებაც არ გააჩნია.

2. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, კოლეჯის ვებგვერდზე გაზიარებული ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა 2023 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ განმეორებითი შეფასებისა და შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების საჭიროება არ დამდგარა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმების ფორმები, სადაც პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ წესის, შინაგანაწესის გაცნობის ფაქტსა და პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე ნებართვის გაცემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის” მე-7 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გადაამოწმა 2023 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ბუღალტრული აღრიცხვა“ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ შორის სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და გარე მობილობის გზით გადასული პროფესიული სტუდენტის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია არასრულწლოვან პირებთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა, თუმცა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ ჩარიცხულა არასრულწლოვანი აპლიკანტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლის თანახმად, კოლეჯი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისა და სწავლის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: ა) კოლეჯის შენობაში თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას; ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დაცვა-უსაფრთხოების პერსონალის გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალისტი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვინაიდან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება გაწერილია მხოლოდ სსსმ ან შშმ პროფესიულ სტუდენტის ინდივიუალური შესაძლებლობების მიღწევისათვის, ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გარდა სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვის საჭიროებისა, გაწეროს მექნიზმები გარე მობილობით გადმოსული ან სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულობის თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ კოლეჯს მიმდინარე ეტაპისთვის არ ჰყავს სსსმ/შშმ, სტატუსაღდგენილი ან გარე მობილობის გზით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ განხორციელდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკის შესწავლა.***

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს მექანიზმები და პროცედურები მობილობით გადმოსული, სტატუსაღდგენილი და ყველა სხვა გარემოების არსებობისას, რა დროსაც პროფესიული სტუდენტი ვერ აგრძელებს სტანდარტული სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას, ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესები;
2. აქტიური სტატუსის მქონე, სტატუსშეჩერებულ და სტატუსშეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
3. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები;
4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ადმინისტრაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტი კომუნიკაციის გზით უწევენ მათ შესაბამის კონსულტირებას და უზრუნველყოფენ მათ ადაპტაციას ახალ გარემოში. პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებას უწევს დირექტორი სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის წარმომადგენლები კომუნიკაციისთვის იყენებენ სოციალური ქსელის ჯგუფს. კოლეჯის პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის გამოხატავენ მზაობას დაეხმარონ პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სადაც უფლებამოსილნი არიან დააფიქსირონ საკუთარი აზრი.

ზემოაღნიშნული მხარდაჭერის მექანიზმები დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგ მარეგულირებელ აქტებში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“;
3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქცია“;
4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
6. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუირებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ საჭირობებზე უმეტესწილად მიმართავენ დირექტორს სასწავლო დარგში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყებისას, კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხვდებიან ახლად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს და აცნობენ მათ კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებს, ქცევის ნორმებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებს, კოლეჯის მისიას, ხედვას და სხვ. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას, განემარტებათ პრაქტიკის ობიექტზე ქცევისა და უსაფრთხოების წესები და სხვ. ზემოაღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობების ჩატარების დამადასტურებელი ნიუსები და ფოტომასალა, რომელიც განთავსებული იყო კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია პროფესიული სტუდენტების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4422 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქციის“ მიხედვით, კოლეჯში მატერიალურად შემოსული კორესპონდენცია შემოსვლის დღეს ელექტრონულად იტვირთება და რეგისტრირდება eflow-ქსელში. დაწესებულების საქმისწარმოების წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპოდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა კოლეჯის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ 2023 წლის ჩარიცხვის პროფესიულ სტუდენტთა მიერ არ დაფიქსირებულა ცნობის გაცემის შესახებ მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის თანახმად, ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის და თანამშრომლებისთვის კოლეჯში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ინფორმაციული შეხვედრები, რომელსაც ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, საინფორმაციო ტიპის შეხვედრებში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან ერთად ჩართულია პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიულისტუდენტები/მსმენელები, რომლებიც ახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და პროგრამების შესახებ იძლევიან დეტალურ ინფორმაციას. კოლეჯი მხარს დაუჭერს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას და უზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობას. კოლეჯში სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდება მათი წახალისებისკენ მიმართულ აქტივობები: მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები გაზიარდება კოლეჯის სოციალური ქსელების გვერდებზე და განთავსდება კოლეჯის სივრცეში, ამასთან წახალისებული იქნება პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საგანმანათლებლო თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სპორტული/კულტურული ინიციატივები. კოლეჯში არსებული პრაქტიკის შესწავლისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მოდულის, „გაცნობითი პრაქტიკის“ მიმდინარეობისას იმყოფებოდნენ პარტნიორ აუდიტორულ კომპანიაში, სადაც გაეცნენ სამუშაო სპეციფიკას და თანამედროვე საბუღალტრო პროგრამებს. აგრეთვე ახსენეს, რომ რაიმე სხვა დამატებითი ექსტრაკურიკულური აქტივობა მიმდინარე ეტაპისთვის არ ჰქონიათ, თუმცა კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტური შეხვედრებისა და ინიციატივების მხარდაჭერისათვის კოლეჯში დასაქმებულია პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების მართვის მენეჯერი, ამასთან გამოყოფილია სტუდენტური სივრცე და წახალისებული იქნება ყველა მათი მომართვიანობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, ***თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებისა და პროცედურების ფორმალიზება, გაიწეროს ინიციატივების წარდგენის წესი, მათი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, მხარდაჭერისა და ანგარიშგების ეტაპები და სხვ.***

5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები: პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი, კურსდამთავრებულთა კითხვარი; პარტნიორი კომპანიის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვა, რომელიც ჩატარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 2 კვირით ადრე. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის კითხვარის მიხედვით კვლევის ასპექტებია: პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გარემოება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზით კმაყოფილების, სასწავლო პროცესის საჭირო მასალა ან/და ნედლეულით ხელმისწავდომობის, ადმინისტრაციული მხარდაჭერის, ეთიკური და სამართლიანი დამოკიდებულების შესახებ კვლევა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2023 სასწავლო წელს პროფესიულ სტუდენტთა მიერ შევსებული ზემოაღნიშნული კითხვარი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურვილებს კოლეჯი ითვალისწინებს და რეაგირებს სათანადოდ, თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ ყოფილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, *თუმცა რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების იდენტიფიცირებისა და განვითარებისათვის, ასევე რეკომენდებულია კოლეჯის სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს რელევანტურ პერიოდში, მაგალითად წელიწადში ორჯერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დრო (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 2 კვირით ადრე) არ იძლევა გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოფხვრის შესაძლებლობას.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“;
3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქცია“;
4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
6. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
7. კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;
8. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის დამტკიცებული 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“,
9. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კმაყოფილების კვლევის შედეგები;
10. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-5 მუხლის, „გარე შეხვედრებისა და აქტივობებში ჩართულობის“ თანახმად, კოლეჯი ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას, აგრეთვე უზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობას. მსგავსი ინფორმაცია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს აგრეთვე მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა პერსონალის მიერ, რაც დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ვინაიდან, კოლეჯს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთვრებული, კურსდამთავრებულთა კვლევა განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-5 მუხლის, „გარე შეხვედრებისა და აქტივობებში ჩართულობის“ თანახმად, კოლეჯი ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონაწილეობას, აგრეთვე უზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობას. დაწესებულებაში დასაქმებულია პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯერი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. მსგავსი ინფორმაცია კოლეჯის სტუდენტებს აგრეთვე მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა პერსონალის მიერ, რაც დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები: პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი, კურსდამთავრებულთა კითხვარი და პარტნიორი კომპანიის კითხვარი. პროფესიული სტუდენტის გამოკითხვა, ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 2 კვირით ადრე, ხოლო კურსდამთავრებულთა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის კითხვარის მიხედვით კვლევის ასპექტებია: პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გარემოება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზით კმაყოფილების, სასწავლო პროცესის საჭირო მასალა ან/და ნედლეულით ხელმისწავდომობის, ადმინისტრაციული მხარდაჭერის, ეთიკური და სამართლიანი დამოკიდებულების შესახებ კვლევა. ვინაიდან, კოლეჯს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთვრებული, კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმების მიზნებისთვის განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, სადაც განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის დასაქმების სფეროს, დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიების გზების, კოლეჯში მიღებული ცოდნის ტრანსფერს სამუშაო ადგილზე, დასაქმების პროცესში შემაფერხებელი გარემოების არსებობის შესახებ. ვინაიდან, კოლეჯს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთვრებული, კურსდამთავრებულთა კვლევა განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის დამტკიცებული 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“;
3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები“;
4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სტრუქტურის მიხედვით მართვის ორგანოებია: პარტნიორთა საერთო კრება, დირექტორი; აღმასრულებელი დირექტორი; დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებია: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; იურისტი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯრი; ფინანსური მენეჯერი; ბიბლიოთეკა; ექიმი/ექთანი; შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი; დასუფთავების თანამშრომელი; ელექტრიკი; ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელი.

კოლეჯის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია დირექტორი, რომელსაც ექვემდებარება ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული.

კოლეჯის სტრუქრურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით“, თუმცა დაწესებულების სტრუქტურასა და ზემოაღნიშნულ დებულებაში მოცემული პოზიციების დასახელებები არ არის თანხვედრაში, მაგალითად: სტრუქტურაში მოცემულია აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო დებულებაში - დირექტორი სასწავლო დარგში, სტრუქტურაში მოცემულია სამეურნეო სამსახური, ხოლო დებულებაში - ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი და სხვ. დაწესებულებაში არ არის შემუშავებული ერთიანი საშტატო განრიგი, შესაბამისად არ არის იდენტიფიცირებული საშტატო ერთეულები და შტატგარეშე პოზიციები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრუქტურასა და დებულებაში დაზუსტდეს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პოზიციების დასახელებები, ასევე შემუშავდეს დაწესებულების საშტატო განრიგი და განისაზღვროს საშტატო და შტატგარეშე ერთეულები ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით“ განსაზღვრულია სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ანგარშვალდებულების სისტემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის 4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოდულის დასრულებამდე არაუმეტეს 5 დღით ადრე მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს შესათანხმებლად და დასამოწმებლად წარუდგენს „მოდულის შეფასების ფურცელს“, სადაც გაწერილია: პროგრამის დასახელება, მოდულის დასახელება; სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები სრულად; სცენარი დავალების მიხედვით თითოეული სწავლის შედეგისათვის; დავალების შესრულების ინსტრუქცია (წერილობითი მოკლე აღწერა, ასევე რესურსი რომლის გამოყენებაც შეუძლია სტუდენტს დავალების შესასრულებლად) თითოეული სწავლის შედეგისათვის; შეფასების მიმართულება; შეფასების ინსტრუმენტი; შესრულების სავალდებულო მტკიცებულება; მტკიცებულებების განხილვის გეგმა; შესრულების კრიტერიუმების დადასტურება და დადასტურების თარიღი; შეფასებისათვის განკუთვნილი დრო; შემდგომი მოდულის წინაპირობა; შეფასების ინსტრუმენტების ავტორი და შემფასებელი, რაც ხელს უშლის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არ ჩაერიოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, აღნიშნული ფუნქცია სრულად განახორციელოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ***თუმცა რეკომენდებულია მკაფიოდ გაიმიჯნოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი არ ჩაერიოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, აღნიშნული ფუნქცია სრულად განახორციელოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მართვა.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“;
3. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის 4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“;
5. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

a. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
b. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
c. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
d. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს, სამსახურში მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადენილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოთხოვნებთან. შრომის შინაგანაწესი გაცნობილია კოლეჯის ყველა თანამშრომლის მიერ და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე/განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.

დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც გაწერილია დასაქმების მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, წახალისებისა და დაწინაურების წესს. დოკუმენტში მოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოშობის, გაქარწყლებისა და ვადაზე ადრე მოხსნის საკითხები. შინაგანაწესით დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების მექანიზმები. დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში დასაქმებული პირები იცნობენ შინაგანაწესს და იღებენ ინფორმაციას მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ, *თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას დაიცვას საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული არსებითი პირობები და გაწეროს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, ***თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას დაწესებულებამ დაიცვას საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული არსებითი პირობები და გაწეროს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა.***

2. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“, რომლის მე-4 მუხლი არეგულირებს სამსახურში მიღების წესს, რომლის თანახმად ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომელი მიიღება (უპირატესად პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიღება) ღია კონკურსის საფუძველზე. დაწესებულების პერსონალის შერჩევის მიზნით, დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ვაკანსიის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებგვერდზე/ვებგვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია შესაბამისი ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პირობები. კოლეჯის „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ გაწერილია პერსონალის შერჩევის მექანიზმები, კონკურსის ჩატარების დეტალები და პერსონალის დანიშვნის წესი, ინფორმაცია პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების საკითხებს და განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება უნდა განხორციელდეს კონკურისს წესით. შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი განაცხადების განხილვისა და შერჩევის საკონკურსო ოქმები, დათვალიერებულ იქნა ვებგვერდზე/დასაქმების პორტალზე გამოქვეყნებული ვაკანსიების არსებობა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისათვის პერსონალის კონკურსის გზით შერჩევის მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის ასევე გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას, თუმცა დაწესებულებამ პერსონალის შერჩევისას არ შეასრულა შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, არ არის წარმოდგენილი კონკურსის ჩატარების მტკიცებულებები. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის № 00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის პირველი აქტივობა ეხება „ინდიკატორი 4.1.2.2, შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა კოლეჯის დებულებასთან და ტექნიკური ხარვეზების გასწორება - 1.დოკუმენტაციის ექსპერტიზა; 2. შეაბამისობაში მოყვანა; 3. ტექნიკური ხარვეზების გასწორება. 4. დებულების, შინაგანაწესისა და მართვის პოლიტიკის ახალი რედაქციით დამტკიცება“. მოცემული აქტივობის შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ერთი კვირა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიისთვის მოცემული დრო რელევანტურია და ერთ კვირაში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მე-4 სტანდარტი ფასდება მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან ინდიკატორი 4.1.2.2 ფასდება მეტწილი შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის პირადი საქმეები. პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა-უნარები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ თითოეული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვას. თუმცა, პერსონალის პირად საქმეში არ ინახება პერსონალის სამუშაო გამოცდილების, ასევე მათ მიერ კვლიფიკაციის ამაღლების დოკუმენტები, მათ შორის კოლეჯის ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგების მტკიცებულებები, რაც განსაზღვრულია დაწესებულების დებულებით. აღნიშნულით მიხედვით, რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა), რაც უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

კოლეჯის პერსონალის მხოლოდ ნაწილის პირად საქმეში განთავსებული იყო „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ცნობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ***თუმცა რეკომენდებულია:***

1. ***დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა);***
2. ***ყველა პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“;***
3. ***თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში დასაქმების მსურველმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინონ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.***

4. კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება - კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფიის მუშაობით, თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის პოლიტიკით დეკლარირებული ღირებულებებით და გააუმჯობესოს თანამშრომლეთა ჩართულობა სხვადასხვა აქტივობასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის პოლიტიკით დეკლარირებული ღირებულებებით და გააუმჯობესოს თანამშრომელთა ჩართულობა სხვადასხვა აქტივობასთან დაკავშირებით.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“;
3. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. დაწესებულების 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ პერსონალის შეფასების მიზანია პერსონალის კარიერული განვითარება, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება, წახალისება, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა და კოლეჯის ორგანიზაციული განვითარება, პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა.

კოლეჯის მიერ 2020 წლის 01 სექტემბრის N01/22 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის შეფასების წესის თანახმად, კოლეჯში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი შეფასება უნდა ხორციელდებოდეს წელიწადში ერთხელ - მიმდინარე კალენდარული წლის დასრულების შემდეგ. მენეჯმენტის პოზიციებზე მომუშავე თანამშრომლები უნდა შეფასდნენ 360 გრადუსიანი შეფასებით, რომელიც გამომდინარეობს დასაქმებულის გარშემო არსებული ყველა მიმართულებიდან (კოლეგების, უშუალო ხელმძღვანელების, ქვემდგომი პირებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება). მენეჯმენტის შეფასება ეფუძნება კომპეტენციების კითხვარს, რომელიც სტანდარტიზებულია კომპეტენციების მიხედვით. კომპეტენციები ფასდება ხარისხობრივი 5 ბალიანი შკალით იმის მიხედვით, თუ რამდენად ფლობს ან არ ფლობს თანამშრომელი კონკრეტულ კომპეტენციას. შეფასების კითხვარი დაფუძნებულია 4 დიდ კომპეტენციაზე, რაც გულისხმობს ინოვატორობას, შედეგების მართვას, დაქვემდებარებული პირების მართვასა და განვითარებას და თავის მხრივ ქცევით ინდიკატორების შეფასებას.

დაწესებულებაში პერსონალის საჭიროების კვლევის მექანიზმები დარეგულირებული არ არის. ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის შესწავლის მიზნით გამოითხოვა პერსონალის შეფასების მტკიცებულებები, თუმცა დაწესებულებამ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულება არ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის მეორე აქტივობა - „ინდიკატორი 4.2.1.1 და ინდიკატორი 4.2.1.2 პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების დადგენა - 1.პერსონალის საქმიანობის შეფასება; 2. პროფესიული განვითარების მიზნით კვლევის ჩატარება; 3. პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების გეგმის შემუშავება“. მოცემული აქტივობის შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მე-4 სტანდარტი ფასდება მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან ინდიკატორი 4.2.1.1 ფასდება მეტწილი შესაბამისობით.

2. კოლეჯის მხრიდან არ განხორციელებულა პერსონალის საჭიროებათა კვლევა და არ შემუშავებულა შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულება არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის № 00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის მეორე აქტივობა - „ინდიკატორი 4.2.1.1 და ინდიკატორი 4.2.1.2 პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების დადგენა“. მოცემული აქტივობის შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალის საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის ცალკეული აქტივობის შესრულებისთვის მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია, მთავარია დაწესებულებამ გააგრძლეოს საქმიანობა მოცემული მიდგომების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მე-4 სტანდარტი ფასდება მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან ინდიკატორი 4.2.1.2 ფასდება მეტწილი შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯის მიერ შემუშავებული პერსონალის შეფასების წესის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება მოიცავს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით: ა) პროფესიული მასწავლებლის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის/სპეციალისტის მიერ; ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ; გ) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, თუმცა დაწესებულების მხრიდან არ განხორციელებულა დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება და შესაბამისად არ დამდაგარა კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საჭიროება. ასევე, რეკომენდებულია დაწესებულებამ სისტემურად განახორციელოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, ***თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.***

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ თანახმად, კოლეჯში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მენეჯერი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისათვის გასაუბრება შედგა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, რომელიც ახალი დასაქმებულია კოლეჯში. გასაუბრებისას მან დეტალურად ისაუბრა კოლეჯში არსებულ მხარდაჭერის აქტივობებზე და გამოხატა კმაყოფილება დაწესებულების პერსონალის მიმართ, თუმცა აღნიშნული პროცედურები დაწესებულებაში დარეგულირებული არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს კოლეჯში ახალი პერსონალის ინტეგრაციის მექანიზმები, განსაზღვროს ახალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის ადაპტაციის ეტაპები, შეიმუშაოს გეგმები, ანგიშები, პროცესის შეფასების ფორმები და სხვ.***

5. კოლეჯის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და/ან განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის დაწესებულება უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ზომები: მადლობის გამოცხადება (ოფიციალური დოკუმენტის სახით და პირად საქმეში შეტანით); პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სამსახურებრივი დაწინაურება. კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებისას, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მსგავს აქტივობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა მზაობას გამოთქვამენ პერსონალის განვითარებასა და შესაბამის წახალისებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“;
2. კოლეჯის მიერ 2020 წლის 01 სექტემბრის N01/22 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის შეფასების წესი“;
3. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. დაწესებულების 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. N30-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში სარგებლობის უფლებით ფლობს 869,9 m^2 ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2020 წლის 15 მაისს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

კოლეჯში კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

1. თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;
2. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია;
3. ადმინისტრაციული სივრცე;
4. სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
5. სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
6. დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
7. სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;
8. ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი;

კოლეჯის სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თუმცა განსაზღვრული არ არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურები. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა *რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკურის რესურსის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის პერიოდული შეფასება, შედეგების ანალიზი, გაუმჯობესების გეგმის შედგენა და შესაბამისი აქტივობების ოპერატიული განხორციელება.*

2. კოლეჯის პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კოლეჯის ლაბორატორიით. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება “, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დასუფთავების თანამშრომელი.
კოლეჯის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგება, რაც დასტურდება ჰიგინური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით.

კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. დაწესებულება აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

კოლეჯში გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან; კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), რომლის გამოყენების თაობაზე კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ტარდება ინსტრუქტაჟი, რაც დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალებით.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“, რომელიც არეგულირებს კოლეჯის პერსონალის, სტუდენტებისა და ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, თითოეული მხარის პასუხისმგებლობას, მოვალეობებს, პროცესების მართვის მიდგომებს.

კოლეჯში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობებს ასრულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა და წარმოდგენილია შესაბამისი ვადიანი სერტიფიკატი.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დებულებაში.

დაწესებულებულების მიერ წარმოდგენილია ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მტკიცებულებები და სხვადასხვა სახის ჟურნალები, თუმცა ზოგიერთი ჟურნალი შევსებული არ იყო, კერძოდ: „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გამოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი“, „პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი,“, „შრომის უსაფრთხოების სწავლების (ტრენინგის) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი“ და სხვა. დაწესებულებაში ვერ იქნა წარმოდგენილი რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტები.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება დასტურდება შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ***თუმცა რეკომენდებულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ასევე შეივსოს და გამოყენებულ იქნას „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გამოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი“, „პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი,“, „შრომის უსაფრთხოების სწავლების (ტრენინგის) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი“ და სხვა.

6. კოლეჯის დირექტორის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და მათ შენახვა-გამოყენების წესებს. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია ფინანსური მენეჯერი და ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას.

მოდულის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლისათვის გადაცემული მასალა-ნედლეული არ აღირიცხება, არ ხდება პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი კომპონენტის დასრულების შემდეგ გახარჯული მასალის ანგარიშგება.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვის და ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი“. რის მიხედვით დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების/პროდუქტების შენახვისა და განკარგვის წესები. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების, მათ შორის ტექნოლოგიური ნარჩენების, მალფუჭებადი პროდუქტის განკარგვისა და უტილიზაციის წესები. სასწავლო პროცესის მსვლელობისას ნარჩენების შეგროვებასა და უტილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი არის მოდულის განმახორციელებელი პირი.

კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროფესიულ სტუდენტებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს მასალა-ნედლეულის ხარჯვის კონტროლი, აღრიცხვა და დოკუმენტირება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტო № 01/19 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს; კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N01/28 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“, რომელიც არეგულირებს სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მექანიზმებს. ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია სხვადასხვა სახის კითხვარები, მათ შორის შემუშავებულია დაწესებულების რესურსებით პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები. საანგარიშო პერიოდი ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში. კვლევის მიხედვით გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 3-ს, დაწესებულებას მოცემულ პერიოდში ჰყავს 24 პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად, კვლევის მიზნებისათვის გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა არასაკმარისია, ხოლო კვლევის შედეგები არასანდო. ასევე რეკომენდებულია კოლეჯში პერსონალის გამოკითხვების ჩატარება და შესაბამისი ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.

დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა *რეკომენდებულია გამოკითხვის მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.*

8. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელსაშრობი დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. კოლეჯში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის სივრცეში. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაიტანონ წიგნი ან ისარგებლონ კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. კოლეჯის შენობაში არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და დასასვენებელი სივრცეები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია სამასწავლებლოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას. საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით წვდომა აქვთ კოლეჯის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად და ამ რესურსებზე წვდომა შეუზღუდავადაა შესაძლებელი დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. იჯარის ხელშეკრულება N08/01, 15.05.220;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. შიდა აზომვითი ნახაზები;
4. დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება “;
6. ცენტრალური გათბობის სისტემა;
7. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა;
8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

9. „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გამოყენების ინსტრქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი“, „პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი“, „შრომის უსაფრთხოების სწავლების (ტრენინგის) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი“ და სხვ.;
10. დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვის და ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი“;
11. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტო № 01/19 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
12. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N01/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“;
13. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
14. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
15. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის მასალები;
16. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯმა წარმოადგინა შპს „ოპტიმუსის“ მიერ მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომლის თანახმადაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანამშრომლობის დოკუმენტები (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბრების აქტი) სახანძრო უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის თაობაზე, თუმცა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ან მიწერილობა შემუშავებული არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1. მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა არ დასტურდება, არ არის წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დაკვნა ან შესაბამისი მიწერილობა. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის მესამე აქტივობა - „ ინდიკატორი 5.1.2.1 სახანძრო უსაფრთხოების ზომები - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების გამოსწორება. მოცემული აქტივობის შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვე. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც დადასტურდა, რომ დაწესებულებამ სახანძრო ინსპექტირება გაიარა და პროცესი დასრულდა ვიზიტის წინა დღეს, თუმცა დასკვნა წარმოდგენილი არ იყო. დაწესებულებაში გაყვანილი იყო ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, რაც ვიზუალური დათვალიერებით ჩანდა. მოცემული ფაქტის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დადებითი დაკვნის ან მიწერილობის არსებობისთვის მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1.ფასდება მეტწილი შესაბამისობით.

2. კოლეჯში მოქმედებს სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებებით. დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პირველადი გადაუდებელი დახმარების და წესრიგის დაცვის წესი“, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს და სხვ.

კოლეჯის მთელს ტერიტორიაზე თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია ინფორმაცია პირველადი გადაუდებელი დახმარებით სარგებლობის თაობაზე. კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური ექიმი. დაწესებულებაში იწარმოება ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების გზით დგინდება, რომ კოლეჯში პერიოდულად ხორციელდება სწავლება/ინსტრუქტაჟი (სიმულაციური ევაკუაცია) საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3. დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. კოლეჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნებიც. კოლეჯს ჰყავდა დაცვის თანამშრომელი, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ იყო ვადიანი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ აიყვანა დაცვის ახალი თანამშრომელი და წარმოადგინა მისი თანხმობა კოლეჯთან თანამშრომლობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „ოპტიმუსის“ მიერ მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანამშრომლობის დოკუმენტები (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბრების აქტი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პირველადი გადაუდებელი დახმარების და წესრიგის დაცვის წესი“;
4. ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
5. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“;
6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
7. დაცვისა და დასუფთავების თანამშრომლის თანხმობები თანამშრომლობის შესახებ;
8. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელი IT, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე, თუმცა კოლეჯს არ აქვს შემუშავებული „IT რესურსების მართვისა და რისკების შეფასების წესი“.

კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს IT რესურსების მართვისა და რისკების შეფასების მექანიზმები“.***

2. კოლეჯში არ ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულება არ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის მეოთხე აქტივობა - „ინდიკატორი 5.2.1.2 დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას - დაწესებულების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის დოკუმენტის შემუშავება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის დოკუმენტის შემუშავებისა და დაწესებულების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით IT რისკების შესაბისთვის მოცემული დრო რელევანტურია და ერთ კვირაში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა და გამოიყენოს შემდგომ საქმიანობაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2.ფასდება მეტწილი შესაბამისობით.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“. პერსონალური მონაცემები კოლეჯის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ შემთხვევებში. კოლეჯი ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა, თანხმობის ფაქტი დასტურდება ხელშეკრულებასა და მის დანართებზე ხელმოწერით.

ექპერტთა მიერ პერსონალის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების დანართები მოიცავს ჩანაწერს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამუშავებაზე კოლეჯი პროფესიული სტუდენტისგან თანხმობას მოიპოვებს წერილობითი სახით. წერილობითი თანხმობა ინახება თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში, რასაც ადასტურებს პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე და პროფესიული სტუდენტების ინტერვიურების შედეგები. შესაბამისად, კოლეჯის საქმიანობაში დაცულია პერსონალური მონაცემები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურებისას, მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებით. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან თანამშრომლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, ***თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებით. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან თანამშრომლობა.***

4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტო № 01/19 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს; კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N01/28 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“, რომლის დანართია სხვადასხვა კითხვარები, მათ შორის შემუშავებულია დაწესებულების IT რესურსებით პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები. საანგარიშო პერიოდი ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში. კვლევის მიხედვით გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 3-ს, დაწესებულებას მოცემულ პერიოდში ჰყავს 24 პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად, კვლევის მიზნებისათვის გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა არასაკმარისია, ხოლო კვლევის შედეგები არასანდო. ასევე, რეკომენდებულია კოლეჯში პერსონალის გამოკითხვების ჩატარება და შესაბამისი ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების მფლობელობაში არებული IT რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, ***თუმცა რეკომენდებულია გამოკითხვის მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.***

5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ადგენს მატერიალური რესურსების, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. კოლეჯში ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელი IT. კოლეჯში უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi). კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგადაც. შესაბამისად, სტუდენტებისა და პერსონალისათვის სასწავლო და სამუშაო პროცესის მიზნებისათვის, ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ასევე, კოლეჯის რეგულაციით განსაზღვრულია ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას. კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow“), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტო № 01/19 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N01/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“;
5. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო მასალებით, სასწავლო ლიტერატურით, საკანცელარიო და სხვა საქონლით/მომსახურებით უზრუნველყოფის წესი“;
6. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი;
8. დაწესებულების 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია“. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, კორესპონდენციის რეგისტრაციის, დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესებს, კოლეჯში არსებული დოკუმენტების სახეებს, მათი რეგისტრაციისა და ინდექსირების წესებს, არქივის ფუნქციონირების მექანიზმებს.

კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან. თუმცა, კოლეჯში ყველა შემოსული კორესპოდენცია არ არის რეგისტრირებული სისტემაში. სისტემაში იძებნება მხოლოდ ბრძანებები. შემოსული და გასული კორესპოდენცია აღირიცხება მატერიალურ ჟურნალებში, რომლებიც არ არის დამუშავებული საქმისწარმეობის წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებებაში არსებული საქმისწარმეობა განხორციელდეს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკის მიხედვით და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებებაში არსებული საქმისწარმეობა განხორციელდეს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკის მიხედვით და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”).***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. კოლეჯი მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მათ შორის - ვებგვერდი, სოციალური გვერდი, სატელეფონო კავშირი. კოლეჯში საქმისწარმოების მიზნით არსებობს ელექტრონული სისტემა "eflow"-ს, თუმცა აღნიშნული პლატფორმა სრულად და ეფექტურად არ გამოიყენება. სისტემაში მხოლოდ ბრძანებები იძებნება, ხოლო კორესპოდენცია აღრიცხება მატერიალურად. რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად გამოიყენოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა "eflow" და უზრუნველყოს ყველა კატეგორიის დოკუმენტბრუნვის სანდოობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, ***თუმცა დაწესებულების ერთიანი დოკუმენტბრუნვის სანდოობის უზრუნველყოფისთვის სრულად ასახავდეს ყველა კატეგორიის დოკუმენტებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემაში - "eflow".***

3. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში შეტანილი ინფორმაციის შეფასება, გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ 3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფაქტი სისტემაში ასახული არ იყო (იხ. დანართი N2). შესაბამისად, დაწესებულების პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არასრულად ხდება ინფორმაციის ასახვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულება არ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. კერძოდ: კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ 3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფაქტი სისტემაში ასახული არ იყო (იხ. დანართი N2). შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არასრულად ხდება ინფორმაციის ასახვა. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა ფოტო მასალა ხარვეზის გამოსწორების დასტურად. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 9 მაისის N00004427 ბრძანების შინაარსის შესაბამისი მონაცემები (პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის ცვლილება) სისტემაში ასახა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2024 წლის 26 ივნისს, რითაც დაარღვია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 17/02/2021 წლის N11/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებამ სისტემაში ინფორმაცია ასახა კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა (2024 წლის 30 და 31 მაისი) და დასკვნის პროექტის წარდგენის (2024 წლის 26 ივნისი) შემდგომ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება. ამასთან, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული აქტივობები არ არის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ინდიკატორის შეფასების სტატუსი მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 5.2.2.3 ინდიკატორი ფასდება უარყოფითად.

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია". განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია“;
2. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”;
3. კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, სარეგისტრაციო ჟურნალები;
4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
5. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი;
6. დაწესებულების 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ მეორე თავი არეგულირებს ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მექანიზმებს. დაწესებულების კომუნიკაციის პლატფორმების მართვაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. კოლეჯს აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი, ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა კოლეჯთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები (თუმცა მწირია ინფორმაცია სიახლეების ნაწილში), პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, დაწესებულების შინაგანაწესი, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე.

შესაბამისად, კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად ასახოს ინფორმაცია ვებგვერდზე, მათ შორის შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილება, პერსონალის შემადგენლობის განახლების თაობაზე ინფორმაცია და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად ასახოს ინფორმაცია ვებგვერდზე, მათ შორის შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილება, პერსონალის შემადგენლობის განახლების თაობაზე ინფორმაცია და სხვ.*

2. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. თუმცა კოლეჯის მისიასა და დასახელებაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობლიობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, ***თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობლიობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.***

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების უფლებამოსილება აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. კოლეჯის კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება.

ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას და მათ მიერ წარმოდგენილი წლიური საქმიანობის ანგარიში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4422 ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2020, 2021, 2022, 2023;
3. კოლეჯის პერსონალის საქმიანობის წლიური ანგარიში;
4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
5. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის შემოსავლების წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის ფინანსური მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგრანოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაესაუბრა კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს, თუმცა დაწესებულება წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2021-2024 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯი ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის განთავსებას, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა შემოსავლების სამსახურის შესაბამის პორტალზე განთავსებული მონაცემებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის ბიუჯეტი და მისი შესრულების ანალიზის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმების შესრულების დოკუმენტები;
3. შემოსავლების სამსახურის შესაბამის პორტალზე განთვასებული ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტები;
4. კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. №30ა
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	40
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	24
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	არა
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	არა
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4422 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას. კოლეჯმა ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა ძველი სტანდარტების შესაბამისად, ამიტომ დაწესებულებაში არ არის დარეგულირებული პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცედურები, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და კოლეჯის რესურსებთან შესაბამისობის კვლევები, შეფასებები და სხვა გარემოებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს კვალიფიციული პერსონალი და გაცნობითი პრაქტიკის მუდულის ფარგლებში თანამშრომლობს ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: შპს „შუშის სახლი“ და აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ ლუქს სერვისი“.

კოლეჯის მისიის საქმიანობის მიმართულება არ არის შეზღუდული და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულება დაარეგულიროს და საქმიანობაში გამოიყენოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის პარალელურად საკუთარი შესაძლებელობების შეფასება, კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალი, ეკონომიკური ფაქტორები, კონკურენცია და სხვა გარემოებები, რომელთა შესწავლის გზით განახორციელებს ამათუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.***

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **ბუღალტრული აღრიცხვა** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „ბუღალტრული აღრიცხვა“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები მიღების გამოცხადების, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, მეორადი ჩარიცხვის შესახებ.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ იყო დიდი, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ყველა ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლი არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. ვინაიდან კოლეჯის ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ამოქმედებამდე, დაწესებულებას არ აქვს შედგენილი კონკრეტეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთების დოკუმენტი, თუმცა კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუანრიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, 40 პროფესიული სტუდენტის ერთობლივად მიღების შემთხვევაშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ თავად შეაფასოს საკუთარი რესურსი და დაასაბუთოს ამათუიმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **ბუღალტრული აღრიცხვა** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა „ბუღალტრული აღრიცხვას“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** მოცულობაა 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 88 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი მოდულებს.

6. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4422 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 14 ივლისის N01/4 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„ბუღალტრული აღრიცხვა“** თანხვედრაშია ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების საკითხებს, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი“. სადაც გათვალისწინებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ვინაიდან კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა პირველი მიღება განხორციელდა 2023 წლის შემოდგომაზე, კოლეჯში ჯერ შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდები არ ჩატარებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4422 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა და მისი დანართები;
3. პრაქტიკის ობიექტებთან - შპს „შუშის სახლი“ და აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ ლუქს სერვისი“ გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
5. კოლეჯის დირექტორის ბრძანებები მიღების გამოცხადების, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, მეორადი ჩარიცხვის შესახებ;
6. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
7. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
8. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმები;
10. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 14 ივლისის N01/4 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცების შესახებ;
11. ბუღალტრული აღრიცხვას ჩარჩო დოკუმენტი;
12. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“;
13. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი“;
14. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

15. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
16. კოლეჯის ვებგვერდი - https://avicenna.edu.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, თუმცა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი რესურსით და პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტრული აღრიცხვა და პრაქტიკული პროექტი- ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება, პრაქტიკის კომპონენტის ერთობლივ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯს ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. N30ა-ში არსებული შენობის მე-2 სართულზე კეთილმოწყობილია A, B სასწავლო გარემოები. ვრცლად იხილეთ 5.1. სტანდარტის აღწერა.

დაწესებულების რამდენიმე აუდიტორიის A ტიპის გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 20-20 პროფესიულ სტუდენტზე. B ტიპის სასწავლო გარემო გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (25 კომპიუტერით, სადაც ჩატვირთულია ორის ბუღალტერია, მონიტორით, 2 პრინტერით). დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან და თანამშრომლობს გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში - შპს „შუშის სახლი“ და აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ ლუქს სერვისი“. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ორივე ობიექტის წარმომადგენელს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა და პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკის ობიექტის მატერიალური რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **ბუღალტრული აღრიცხვა** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში ბუღალტრული აღრიცხვას პროგრამისთვის მოიაზრება 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებაში. პერსონალი ჩართულია სასწავლო პროცესში, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები შესწავლილი აქვს ვალიდაციისა ჯგუფს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ. ასევე რეკომენდებულია, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით პერსონალის პირად საქმეში განათავსოს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“, მოცემული კომპონენტი შეფასებულია მე-4 სტანდარტის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.*

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **ბუღალტრული აღრიცხვა** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე საბუღალტრო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, ჩართულია პროგრამის განხოციელებაში და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროფესიული მოდულების განოხრციელების პროცესში.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **ბუღალტრული აღრიცხვა** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 8 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 20-ს. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 24 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტის შედგენისას დაშვებულია გაანგარიშებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები - კერძოდ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება 1708 საათის ფარგლებში შეადგენს 1708 ლარს, რაც შეუსაბამოა მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულ ოდენობასთან. ასევე, მოცემული ბიუჯეტის ფარლგლებში, რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, შემოსავლების ოდენობა შეადგენს 24000 (8X3000=24000) ლარს, ხოლო ხარჯების ოდენობა მოცემული კალკულაციით შეადგენს 24208 ლარს, ანუ ხარჯი 208 ლარით მეტია, ვიდრე შემოსავალი, ხოლო ხარჯების სწორად კალკულაციის შემთხვევაში აღნიშნულლის დისბალანსი საგრძნობლად გაიზრდება. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს მეტი სიზუსტით შეადგინოს პროგრამის ბიუჯეტი და რელევანტურად განსაზღვროს რენტაბელური ზღვარი, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობა. ინტერვიურება ვერ შედგა დაწესებულების ფინანსურ მენეჯერთან, თუმცა სასწავლო დარგში კოლეჯის დირექტორმა ისაუბრა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხებზე და აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობები გასწორდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, ***თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას მეტი სიზუსტით განხორციელდეს ხარჯებისა და შემოსავლების კალულაცია, რელევანტურად განისაზღვროს რენტაბელობის***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზღვარი, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **- ბუღალტრული აღრიცხვა** და მისი დანართები;
2. პეაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები - შპს „შუშის სახლი“ და აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ ლუქს სერვისი“;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. კოლეჯის მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. კოლეჯის მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, ასევე „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს ღონისძიებები აღწერილი აქვს შემდეგი მიმართულებით:
   1. საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
   2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შეფასება, პროფესიული მასწავლებლის სასწავლო მეთოდები, სასწავლო პროცესის დაგეგმარება;
   3. სასწავლო გარემო და რესურსები/ პრაქტიკის ბაზა; გარემოსა და რესურსების რელევანურობის შეფასება პროგრამის ადეკვატური განხორციელების კონტექსტში;
   4. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მათი უკუკავშირი კონკრეტულ მოდულთა, სასწავლო პროგრამის განხორციელების კონტექსტში;
   5. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ვინაიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი ნაკადის მიღება განხორციელდა 2023 წლის შემოდგომაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმები ჯერ არ ამოქმედებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვინაიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი ნაკადის მიღება განხორციელდა 2023 წლის შემოდგომაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმები ჯერ არ ამოქმედებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს N01/19 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა** და მისი დანართები;
4. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და დირექტორი სასწავლო დარგში, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. დირექტორი სასწავლო დარგში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ორივე ობიექტის წარმომადგენელს, სადაც პროფესიული სტუდენტები გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ეცნობიან სამუშაო პროცესს, ასევე 16 საათის განმავლობაში პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილია პრაქტიკული სწავლება პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების დამოუკიდებლად, რაც არის პროგრამის გარე აქტივობა და პროფესიულ სტუდენტებს დასაქმებაში შეუწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭირობის შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

ვინაიდან დაწესებულებაში პრფესიულ სტუდენტთა პირველი ნაკალდი 2023 წლის შემოდგომაზე მიიღეს, კოლეჯს არ ჰყავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა** განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, პროგრამით გათვალისწინებული გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (20-20 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. პრაქტიკის ობიექტები - „შპს შუშის სახლი“, ხელშეკრულება N08/05 გაფორმებულია 2020 წლის 10 აგვისტოს და მოქმედებს კოლეჯის ავტორიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. პრაქტიკის ობიექტის ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები და სხვ. მეორე ხელშეკრულება კოლეჯს გაფორმებული აქვს აუდიტორულ კომოანიასთან შპს აუდიტ ლუქს სერვისთან. ხელშეკრულება N08/06 გაფორმებულია 2020 წლის 24 აგვისტოს და მოქმედებს კოლეჯის ავტორიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. პრაქტიკის ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები და სხვ.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა** არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. ხოლო უსაფრთხოების ზოგადი ნორმები კოლეჯში დაცულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა** და მისი დანართები;
2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. შპს შუშის სახლთან 2020 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N08/05
4. შპს აუდიტ ლუქს სერვისთან 2020 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N08/06;
5. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
6. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები;
7. კოლჯის პრატნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთ ინტერვიურების შედეგები;
8. კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი“ არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 09 მაისის №4421 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი“, სადაც გათვალისწინებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს N01/19 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჩატარების წესს, თუმცა ვერიფიკაციის მექანიზმები საჭიროებს დახვეწას, კერძოდ რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას განახორციელოს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შევლენ დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ამასთან გათვალისწინებული იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

ვინაიდან კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა პირველი ჩარიცხვა განხორციელდა 2023 წლის შემოდგომაზე, ჯერ დაწესებულებას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი არ დაუწყია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, *თუმცა ვერიფიკაციის მექანიზმები საჭიროებს დახვეწას, კერძოდ რეკომენდებულია კოლეჯმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას განახორციელოს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შევლენ დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ამასთან გათვალისწინებული იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 09 მაისის N4421 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს N01/19 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ;
3. ვალიდაციის შევსებული ფორმები;
4. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებები;
5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
6. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი N2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან აღებული სქრინები (სამი ფურცელი).

02.07.2024

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---